საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №52
2014 წლის 15 ნოემბერი

ქ. თბილისი

დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-11 პუნქტისა და „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №389 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის თანდართული ფორმა.
2. დაევალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის დასამზადებლად საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**